„ჩინგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველაო“

კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2023 წელი ● №1-2 (9543-44) ● 1-31 იანვარი ● ფასი 1 ლარი და 40 თეთრი

stiqiis mesame dRe.

14 იანვარი-
კალანდა

31 იანვარი – ალექსი
ბერის ხსენების დღე

27 იანვარი-
ნინოობა

14 იანვარი _ ქართული თეატრის დღე

სენაკის სავიზიტო ბარათი – აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატული თეატრი, დაარსებიდან 142 წელს ითვლის. ეს თარიღი საამაყოა თითოეული სენაკელისთვის და ჩვენს გამორჩეულ თეატრალურ ტრადიციებზე მეტყველებს.

სენაკი, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე განახლებული უნიკალური თეატრითა და მრავალფეროვანი სპექტაკლებით აგრძელებს თეატრალური ცხოვრების მდიდარ ტრადიციას.

თეატრალური საზოგადოების ყველა წარმომადგენელს, სენაკელ თეატრალებს, ახალბედა მსახიობებს ვულოცავ პროფესიულ დღესასწაულს და საინტერესო საქმიანობას ვუსურვებ.

ვახტანგ გაფელია
სენაკის მუნიციპალიტეტის მერი



ჩვენი სენაკის ბავშვებისაგან,
კეთილისაგან ვუსურვებთ ბატონ
–ახალ წელს, ყველის ნუსხაზე და ბედნი
ერ ბოლოებით, ამინ!
ფიცალიანი ბიბილეიშვილი
ქალაქის ბოლის თვე 2022 წელი.

სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
11 იანვარი–ვრცელი

„კოლხეთი“ - 100

ისტორიის კვალდაკვალ



მეგობრებო, ზუსტად 100 წლის წინ, 1923 წლის 1 მაისს გამოვიდა პირველი ნაბეჭდი გაზეთი სენაკში, სახელწოდებით „კომუნა“. გაზეთი წარმოადგენდა „საქართველოს კ.პ. სენაკის სამაზრო კომიტეტისა და აღმასკომის ყოველკვირეულ ორგანოს. იბეჭდებოდა ადგილობრივ სტამბაში და ვრცელდებოდა სენაკის მაზრაში.

გავრცელება მოსახლეობაში ხელმოწერითა და საცალო გაყიდვით წარმოებდა. აღნიშნული გაზეთი 1923 წლის განმავლობაში შეუფერხებლად გამოდიოდა, ოღონდ მის ნომრებს სრულად ჩვენამდე არ მოუღწევია, ეროვნულ ბიბლიოთეკაში მხოლოდ ცალკეული ეგზემპლარებია დაცული, სამწუხაროდ არც პირველი ნომერია შემორჩენილი. საილუსტრაციოდ გთავაზობთ მეორე ნომრის I გვერდის ფოტოს.

აქვე უნდა გითხრათ, რომ აღნიშნულა გაზეთმა არსებობის მანძილზე სახელწოდება არაერთხელ შეიცვალა: ,,კომუნა", ,,მთლიანი კოლექტივიზაცია", ,,ავანგარდი", ,,კოლხეთის ცისკარი", ,,კოლხეთი".

მაშ ასე მეგობრებო, ვეცდებით გზადაგზა საუკუნოვანი გაზეთის ისტორიიდან ცალკეული საინტერესო შტრიხები შემოგთავაზოთ. თქვენგანაც ველოდებით გამოხმაურებებს. თუ გაიხსენებთ „კოლხეთთან“ ურთიერთობის საინტერესო დეტალებს, ან ფლობთ მისი წარსულის მნიშვნელოვან მოგონებებს, ფოტომასალებს და ა.შ. გთხოვთ, არ დაიზაროთ და მოგვაწოდოთ რედაქციაში (დოკუმენტები დაგიბრუნდებათ). უნდა იცოდეთ, რომ თქვენს მიერ მოწვდილი ინფორმაციები საიუბილეო ნომერს უფრო გაამრავალფეროვნებს და ფართო საზოგადოებისთვის საინტერესო წასაკითხი გახდება. რაც მთავარია, საუკუნოვანი გაზეთის ისტორია თქვენი დახმარებით შეივსება. ველით თქვენს წერილებს, წინადადებებს, მილოცვებს იუბილარი გაზეთისათვის, და ა.შ.

ნინო სართანია

საახალწლო ქალაქის ჯადოსნური საახალწლო დღეები

* * *

25 დეკემბერს ქალაქის მთავარი ნაძვის ხე საზეიმოდ აინთო. პირველად ქალაქის თითქმის ყველა უბანი საზეიმოდ განათდა. ცენტრალურ მოედანზე მოეწყო საბავშვო სივრცე, გაიმართა ანიმატორების შოუ და ჯგუფ „გუფი ლენდის“ კონცერტი. მსურველებს შეეძლოთ გლინტვეინის დაგემოვნება და GIF ფოტოების გადაღება. ნაძვისხის ანთების ცერემონიალს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარესთან, საბა ოდიშარიასთან, ადგილობრივი თვითმმართველობის და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო და ქალაქის ცენტრალურ მოედანზე შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა.

* * *

(29 დეკემბერი) საახალწლო სოფელში მოეწყო გამოფენა, სადაც ადგილობრივმა ფერმერებმა და მეწარმეებმა მარტვილის მუნიციპალიტეტიდან, სხვადასხვა პროდუქცია და ხელნაკეთი ნივთები წარმოადგინეს.

ღონისძიების ფარგლებში, ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში გაიმართა მუსიკოსთა საზეიმო მსვლელობა, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ჩატარდა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა სენაკის, ფოთის და აბაშის მუნიციპალიტეტების ქორეოგრაფიულმა და ფოლკლორულმა ანსამბლებმა მიიღეს.

დღის ბოლოს გაიმართა შოუ კონცერტი, ბენდის ,,აკუსტიკა“ და მომღერლების - ბოკა კვეკვესკირისა და ლაშა თოლორდავას მონაწილეობით.

შოუს მსახიობი, გიორგი ჭანტურია უძღვებოდა.

საახალწლო ღონისძიებებს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, მერის მოადგილე, ლევან ელიავა, საკრებულოს წევრები, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

* * *

(7 იანვარი) შობის მახარობლებმა, მოსახლეობას მაცხოვრის შობა გალობით ახარეს.

სასულიერო პირების, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ,,ალილოს" მრევლის მსვლელობა, საწინამძღვრო ჯვრების, შობის ხატისა და დროშების თანხლებით, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან დაიწყო და სენაკის ცენტრალური ქუჩების გავლით, სახვითი ხელოვნების გალერეასთან დასრულდა.

ტრადიციულ მსვლელობაში მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მიიღეს.

საშობაო ალილოზე შეგროვებული ნობათი მზრუნველობამოკლებულ მოხუცებს, სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახებს გადაეცათ.

* * *

საქართველოს პრემიერმინისტრის ინიციატივით და მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით 13 იანვარს დაგეგმილი საახალწლო ღონისძიებები სტიქიის გამო გადაიდო, რომელიც ჩატარდა 16 იანვარს.

სენაკის საახლწლო ღონისძებები 2 საათზე დაიწყო. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მოეწყო ბაზრობები – ადგილობრივი ნაწარმის, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, საბავშვო –გასართობი სივრცეები, განთავსდა საახალწლო სახლები, ფოტოგადასაღები სტენდები, ინსტალაციები. გაიმართა კონცერტი – ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით.

დღის ბოლოს, მაყურებლის წინაშე ცნობილი ქართველი შემსრულებლები – სალომე ბაკურაძე, ნოდიკო ტატიშვილი, ოთო ნემსაძე ბენდთან ერთად და ჯგუფი „anik“ წარდგნენ.

საახალწლო აქტივობები სენაკში ფოიერვერკით დასრულდა.

(გაგრძელება გვ. 3)

საახალწლო აქტივობები

* * *

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, მუნიციპალიტეტის 27 საბავშვო და ბაგა-

ბაღის 1022 აღსაზრდელს, საახალწლოდ საჩუქრები გადასცა.

* * *

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მოადგილესთან, ლევან ელიავასთან ერთად, მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრში იმყოფებოდა.

მუნიციპალიტეტის მერმა, ცენტრის ბენეფიციარებს დამდეგი შობა-ახალი მიულოცა და სოციალური აქტივობების ფარგლებში, ცენტრის 225 ბენეფიციარს საახალწლო ნობათები გადასცა.

* * *

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ, დედ-მამით ობოლ ბავშვებს, სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან და განსაკუთრებული საჭიროების მქონე ოჯახებს, საახალწლო ნობათები გადასცა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსთან, ნანა ზარანდიასთან ერთად, სოციალურად დაუცველ და სხვადასხვა საჭიროების მქონე ოჯახებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა და სადღესასწაულო ნობათები გადასცა.

სასაჩუქრე კალათა სხვადასხვა სახეობის პროდუქტს მოიცავს და მისი საერთო ღირებულება 8 660 ლარია.

* * *

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის, კლინიკა ,,სენა-მედის“ პერსონალს, შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის დეპარტამენტის სენაკის რაიონული სამმართველოს წარმომადგენლებს და სამეგრელო-ზემო სვანეთის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს სენაკის სახანძრო-სამაშველო განყოფილების მეხანძრე-მაშველებს ესტუმრა და დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა.

,,ჩვენი დროის გმირ მედიკოსებს, პოლიციელებს და მეხანძრე-მაშველებს, ადამიანებს, რომელთაც პროფესიული მოვალეობის შესრულება 24 საათიან რეჟიმში უწევთ, მინდა მადლობა ვუთხრა ქვეყნისა და ხალხის სამსახურში დგომისთვის და ბედნიერება, სიმშვიდე, სიუხვე ვუსურვო" - აღნიშნა ვახტანგ გადელიამ.

რამდენიმედღიანი ქარიშხალი

სამუშაო ჯგუფი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, სტიქიასთან დაკავშირებით შექმნილი სამუშაო ჯგუფების წევრებს შეხვდა.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტში არსებული ვითარება, მიმდინარე და განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები განიხილეს.

,,მერიაში შევქმენით ზარალის დამთვლელი სპეციალური კომისია, სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ადგილზე ეცნობიან შექმნილ ვითარებას, აფასებენ ზარალის მოცულობას და მასშტაბებს.

უამინდობის მიუხედავად აქტიურად ვახორციელებთ აღდგენით სამუშაოებს.

მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ თქვენგანს, მუნიციპალურ სამსახურებს, საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის ჯგუფებს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, შსს-ს სხვადასხვა ქვედანაყოფებს, ,,ენერგო-პრო ჯორჯიას“, ,,გასკო+“-ს, იმ ადამიანებს, რომელნიც, 24 საათიან რეჟიმში, აქტიურად არიან ჩართულები სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში“ - აღნიშნა სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ

სტიქიის მესამე დღე

ძლიერი ქარის შედეგად დაზიანდა ყოფილი სამხედრო ქალაქის დევნილთა დასახლების სამი მრავალბინიანი კორპუსის სახურავი.

მოსახლეობას ასევე არ მიეწოდებოდა წყალი, ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მოადგილესთან, ლევან ელიავასთან ერთად, შექმნილ ვითარებას ადგილზე პირადად გაეცნო და მოსახლეობას შეხვდა. ამ დროისთვის, დევნილთა დასახლებას აღუდგა წყლის, შუქისა და გაზის მიწოდება.

ძლიერი ქარის შედეგად, ქალაქში, ალეკო შენგელიას ქუჩაზე, კერძო საცხოვრებელ სახლს ხე დაეცა.

საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრისა და შესაბამისი სამსახურების მყისიერი რეაგირების შედეგად, არსებული პრობლემა მალევე აღმოიფხვრა.

ადგილზე იმყოფებოდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია და მოადგილე, ლევან ელიავა.

პირველადი მონაცემებით, სენაკის მუნიციპალიტეტში, სტიქიის შედეგად, დაზიანებულია 6 მრავალბინიანი კორპუსის, 130-ზე მეტი კერძო საცხოვრებელი სახლის, 2 საჯარო სკოლის, 1 საბავშვო ბაღის, 2 საექიმო ამბულატორიის, 6 ადმინისტრაციული შენობის სახურავი.

ასევე, დაზიანდა სკვერები, მინი მოედნები, ტროტუარები, ელექტროგადამცემი სადენები და ბოძები. მოგლეჯილია ათეულობით მრავალწლოვანი ხე.

სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები 24 საათიან რეჟიმში მიმდინარეობს.

პარალელურ რეჟიმში მუშაოებენ რეაგირების ჯგუფები, ზარალის დამთვლელი კომისია.

საგანგებო თათბირი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, საგანგებო თათბირი გამართა.

თათბირს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, მერის მოადგილე, ლევან ელიავა, მერიის ადმინისტრაციული, ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურების ხელმძღვანელები და სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მერიაში შეიქმნა ზარალის დამთვლელი სპეციალური კომისია, რომელსაც ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ნანა ზარანდია უხელმძღვანელებს.

ასევე შეიქმნა რეაგირების ჯგუფები, რომლებიც მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 24 საათიან რეჟიმში, მონიტორინგს განახორციელებენ.

თათბირზე ძლიერი ქარისგან შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში არსებული ვითარება, მიმდინარე და განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები განიხილეს.

სტიქიამ სენაკის მუნიციპალიტეტში პრობლემები შექმნა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ძლიერი ქარის შედეგად, მუნიციპალური სამსახურების მიერ მთელი დღის განმავლობაში იწმინდებოდა მოგლეჯილი ხეებისაგან ჩახერგილი გზები.

დაზიანდა გაზსადენის ცენტრალური მაგისტრალი. აღნიშნული პრობლემა აღმოფხვრილია და მოსახლეობას ბუნებრივი აირის მიწოდება აღუდგა.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ელექტროსადენები სრულად გამოვიდა მწყობრიდან, ამ დრომდე მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები, მოსახლეობის ნაწილს არ მიეწოდება ელექტროენერგია.

ძლიერმა ქარმა სრულად დააზიანა მენჯის საჯარო სკოლის სახურავი, ასევე, პრობლემები შექმნა ქალაქად და მენჯის, ნოსირის, ნოქალაქევის, ზანას, მეორე ნოსირის, თეკლათის, ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

შექმნილ ვითარებას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მოადგილესთან, ლევან ელიავასთან და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე გაეცნო.

მერიის მობილური ჯგუფები აგრძელებენ მონიტორინგს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში, 24 საათიან რეჟიმში ჩართულები არიან ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის“, ,,ენერგო-პრო ჯორჯიას“, ,,გასკოს“, სამაშველო და მერიის სამსახურების ჯგუფები.

შემოსულ შეტყობინებაზე შესაბამისი სამსახურების მიერ ოპერატიულად ხორციელდება რეაგირება.

მერიაში შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც სტიქიის შედეგად მიყენებულ ზარალს ითვლის.

მუშაობს მერიის ცხელი ხაზი:
599 85 04 19, 599 87 50 30

მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია

სენაკის მუნიციპალიტეტში, ქარისგან მოგლეჯილი ხე სამარშრუტო ტაქსს დაეცა, დაშავდა სამი მგზავრი, რომლებიც სენაკის არქიმედეს კლინიკაში გადაიყვანეს.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, არქიმედეს კლინიკაში იმყოფებოდა, კლინიკის სამედიცინო დირექტორს, მარეხი ადანაიას და მკურნალ ექიმს შეხვდა და დაშავებული პაციენტები მოინახულა. ამ დროისთვის, ერთი პაციენტის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ორი - საშუალო სიმძიმის პაციენტი, ქუთაისშია გადაყვანილი. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

„დედაქალაქური“ სპექტაკლი



სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი ჩვენი ქალაქის სავიზიტო ბარათია. დიდი ისტორიით, კულტურული ტრადიციებით დატვირთული თეატრი ტრადიციებს არ ღალატობს და საამაყოდ აგრძელებს გზას. აქ პროფესიონალთა დიდი გუნდი მუშაობს. თეატრმა თავიდან რამდენიმე სპექტაკლი: „მაეცკვე ტანგო“ და „პროლოგი ჩემი წარსულია“ განაახლა და მაყურებელს ახალი რაკურსით წარუდგინა. პარალელურად დასი მუშაობდა ახალ სპექტაკლზე -- „ჰარპაგონი“, რომელიც მოლიერის პიესის „ძუნწის“ მიხედვით დადგმული ორმოქმედებიანი კომედიაა. პრემიერამ თეატრალურ საზოგადოებაში დიდ აღფრთოვანება გამოიწვია.

საახალწლო დღეებში კიდევ ერთი ახალი სპექტაკლის პრემიერა შედგა. დაიდგა კლასიკად ქცეული ჯადოსნური ზღაპრი „მაკნატუნა“. პრემიერამ 5 დღის განმავლობაში სრული ანშლაგით ჩაიარა. სპექტაკლი დაიდგა გერმანელი მწერლის ერნსტ ჰოფმანის ზღაპრის „მაკნატუნა და თაგვების მეფე“ მიხედვით. ეს ულამაზესი ზღაპარი მოგვითხრობს შობის ჯადოსნურ ღამეზე, როდესაც ოცნებები ხდება, მოჯადოებულ პრინცსა და ულამაზეს პრინცესაზე, სიკეთისა და ბოროტების ჭიდილზე. ჩვენს პროფესიონალ მსახიობებთან ერთად პატარა მსახიობებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს, რომ ჯადოსნური სანახაობა მოეწყოთ მაყურებელთათვის. სპექტაკლს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა ულამაზესი კოსტიუმები, რომელიც შთამბეჭდავი იყო ყველა ასაკის მაყურებლისთვის. ეს იყო მოგზაურობა ზღაპარში. საოცარი სანახავი იყო ფარდის გახსნა.

სპექტაკლი მაკნატუნა“ განხორციელდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით.

ინსცენირების ავტორი და დამდგმელი რეჟისორი – ვახტანგ ნიკოლავა, სიმღერების ტექსტის ავტორი და კომპოზიტორი – კოტე მალანია, ნატო სლეპაკოვა, მხატვარი – ალექსანდრე სლოვინსკი, მხატვარ-შემსრულებლები – ემილ გეგენავა, მალხაზ კორთხონჯია, კოსტიუმების მხატვარი – სოფი ჩალაშვილი, კოსტიუმების შემსრულებლები- რუსუდან კიკნაძე, მაგდა მამასახლისი, მაკა კილასონია, ქორეოგრაფი – დავით მეტრეველი, შუქის მხატვარი – ლაშა ჟვანია, ხმის რეჟისორი – ხვიჩა ძველაია, თარგმანი – ნატო სლეპაკოვა, ტექნიკური რეჟისორი – მაია ფირცხალავა.

მონაწილეობენ:

ქრისტიან ელიას დროსელმეერი - თენგიზ თოფურიძე, მაკნატუნა – ამირან მალანია, გიორგი მურუსიძე. მარი შტალბაუმ – სოფი ჩალაშვილი, ფრიც შტალბაუმ – რაული კიკალეიშვილი, მამა, ბატონი შტალბაუმი – ლადო კოკაია, დედა, ქალბატონი შტალბაუმი – თამუნა აბშილავა-კობახიძე, ფრეილინა ტრუდხენ – ინგა ცირამუა, მეკობრე ბართოლომეო – ტარიელ ზურაბაშვილი, მაიმუნი – ზურაბ ზურაბაშვილი, მედოლე –ელგუჯა ნოდარიძე, თოჯინა კლერხენი – ლალი გაბელაია, თოჯინა ტრუდხენი – ეკა კოღუა, ჰუსარი – გოჩა დამენია, პრინცესა პირლიპატი – მარიამ შონია, ბაჭია ტედი – ჯამბულ ჭანტურია, თაგვების მეფე- ლადო კოკაია, თაგვების მეფის მრჩეველი – ზვიად ზურაბაშვილი, თაგვები – ცოტნე კაცია, ლუკა გრიგოლია, მარიამ შონია, ბარბარე საჯაია, ანდრია ქიტიაშვილი, მანუჩარ დგებუაძე, რომა ტყებუჩავა.

სპექტაკლში მონაწილეობენ სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის ერთობლივი თეატრალური სტუდიის მოსწავლეები.

სტუმრებმა დედაქალაქიდან, კულტურის სფეროს მუშაკებმა თავიანთი აღფრთოვანება გამოხატეს წარმოდგენილი სპეკტაკლის მიმართ:

თეა წულუკიანი (საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი)

შობა-ახალი წელის დღეასასწაულებს და 2023 წელს სენაკის დრამატული თეატრი ხვდება საამაყოდ. სულ რამდენიმე თვეში სამხატვრო ხელმძღვანელმა ვახტანგ ნიკოლავამ, თაეტრის დირექტორმა და მთელმა შემოქმედებითმა დასმა შეძლო, რომ ეს თეატრი გამოეცოცხლებინა. ამ შედეგს რამდენიმე რამ განაპირობებს. პირველ რიგში ის, რომ ამ თეატრში მილიონობით ინვესტიცია ჩადო „ქართუ“ ფონდმა და ის თანამედროვე სტანდარტის ინფრასტრუქტურად აქცია. ჩვენ შევძელით დაგვენიშნა შესანიშნავი კადრი ხელმძღვანელად და მოვახერხოთ ისიც, რომ შარშან გაგვეზარდა თეატრის ბიუჯეტი. ყოველივე ეს კი განაპირობებს იმას, რომ შემოქმედებითი პროცესი აქ ძალიან აქტიურია და ნელ ნელა სენაკის დრამატული თეატრი იწყებს დაბრუნებას იმ თავისი ფუნქციისა, რაც მას ტრადიციულად გააჩნდა. დიდი იმედი მაქვს, რომ 2023 წელი კიდევ მეტი შემოქმედებითად აქტიური პროცესით იქნება დატვირთული და ჩვენ შევძლებთ კიდევ მეტი სპექტაკლის დაფინანსებას, როგორც ეს მოხდა დღეს „მაკნატუნას“ შემთხვევაში

მაკა ვასაძე (საქ. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნე, დოქტორი თეატრმცოდნე)

ვახტანგ ნიკოლავამ არაჩვეულებრივი საჩუქარი გაუკეთა სენაკელ ბავშვებს, მოზარდებს და უფროსი თაობის წარმომადგენლებს. მე დღეს დიდი სიამოვნეით ვუყურე „მაკნატუნას“, ეს არის გემოვნებით გაკეთებული სცენოგრაფია. ფარადა გაიხსნა თუ არა პირდაპირ ზღაპრულ სამყაროში შევიდა მაყურებელი. როლები არაჩვეულებრივად შესარულეს პროფესიონალმა მსახიობებმა და რაც მთავარია მათთან ერთად სპექტაკლში მონაწილებდნენ ბავშვები, რომლებიც მაღალ დონეზე ასრულებდნენ თავიანთ როლებს.

მე მინდა სენაკის თეატრს მივულოცო ეს წარმატებული პრემიერა, რომელმაც აღაფრთოვანა ყველა

სოფი ჩალაშვილი – მსახიობი

პრემიერა შედგა, ძალიან ლამაზი სპექტაკლი გამოვიდა, სანახაობრივად შთამბეჭდავი, ულამაზესი გარემო, ჯადოსნური, საშობაო. ძალიან მიხარია, რომ ამ სპექტაკლში ვმონაწიელობ ვინაიდან ძალიან ბევრი ვისწავლ;ე ამ ნაწარმოებიდან. მინდა ყველას მივულოცო შობა-ახალი წელი და ვუსურვო ბევრი ასეთი ლამაზი დღე დაგვბედებოდეს.

მარინა ლიფონავა თეატრის სალიტერატურო ნაწილის ხელმძღვანელია, ამიტომ პროფესიული თვალსაზრისით საყურადღებოა მისი თვალთახედვა: სპექტაკლის შესახებ იმდენი რამის თქმა შემიძლია, რომ გაზეთის ფორმატი არ მოგვცემს ამის შესაძლებლობას. შევეცდები მოკლედ მოგახსენოთ. ფაქტია, რომ ვახტანგ ნიკოლავამ დაიდგა უპრეცენდენტოდ ულამაზესი სანახაობა. დაკომპლექტებული პროფესიონალი და პატარა მსახიობებით, საოცარად ლამაზი კოსტიუმებით, ამაღელვებელი ქორეოგრაფიულ ნომრებით და ულამაზესი ჰანგებით. ეს იყო კოლოსალური შრომის შედეგი. გარდა თეატრალური დასისა მთელი მონდომებით შრომობდა ტექნიკური პერსონალი, სცენის მუშები და გამნათებლები. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ჩვენი ჯადოსნური სცენა თავისი ხის ნაკეთობებით, ხელნაკეთი თოჯინებით. რომელიც შექმნა --დათო კირცხალიამ.

და რაც ყველაზე მთავარია, ჩვენი საოცრად ნიჭიერი, შრომისმოყვარე და თავის საქმის უბადლო პროფესიონალი, თეატრის მთავარი რეჟისორი ბატონი ვახტანგ ნიკოლავა -- არის ის ადამიანი, რომელმაც ახალი სიცოცხლე შესძინა თეატრს. ნამდვილად დასაფასებელია მისი შრომა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან მთელი თავის სული და გული, მთელი თავისი ენერგია ჩადო ამ სპექტაკლში.

ჩვენ ძალიან მაღლი შეფასებები მივიღეთ თეატრის კრიტიკოსებისგან. ეს ორმაგად სასიხარულოა თითოეული ჩვენთაგანისთვის. სენაკის თეატრი თავის ძველ ტრადიციებს არ ღალატობს. დარწმუნებული ვარ კიდევ არაერთხელ გავახარებთ ჩვენს მაყურებელს. კიდევ არაერთხელ მოვუწყობთ შთამბეჭდავ სანახაობას. მინდა ყველას მივულოცო ეს წარმატება და ჩემს მეგობრებს ვუსურვო კიდევ უფრო დიდი პროფესიული წინსვლა.

ჩვენი თეატრის სცენაზე

პრემიერა დიდი აპლოდსმენტებისა და ოვაციების ფონზე დასრულადა. ჩვენ გავესაუბრეთ მაყურებლებსა და რამდენიმე ნორჩ მსახიობებს. გთავაზობთ მათ მოსაზრებებს.

ბარბარე საჯაია – ბავშვები ძალიან ვნერვიულობდით პრემიერის დაწყებამდე. ეს ბუნებრივია, ჩვენ ხომ ასეთ დიდ სცენაზე პირველად გამოვდიოდით, მაგრამ როდესაც დაიწყო სპექტაკლი თითქოს ეს ნერვიულობა მომეხსნა. პირადად მე მართალია მეორეხარისხოვან როლს ვასრულებდი, მაგრამ იმდენედ ვიყავი ჩემს როლში შეჭრილი, რომ ალბათ კარგა ხანს გამყვება ის ემოციები, რასაც რეპეტიციებზე თუ პრემიერის დროს ვგრძნობდი. მე მინდა მივულოცო ჩემს მეგობრებს პრემიერის ასე წარმატებულად დასრულება.

ანდრია ქიტიაშვილი – დიდი სიამოვნებით და ინტერესით დავდიოდი თითოეულ რეპეტიციაზე, რადგან ყოველი დღე იყო ძალიან სახალისო და საინტერესო. ვისწავლეთ ბევრი ახალი რამ. ყველაზე სასიამოვნო და დასამახსოვრებელი კი იყო პროფესიონალ მსახიობებთან ერთად დიდ სცენაზე დოგმა. არასოდეს დამავიწყდება ეს დღეები. პრემიერის დღეს ძალიან ვღელავდი, ვნერვიულობდი ჩემს პირველ გამოსვლას. საბედნიეროდ ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

ახლა კი ჩვენი თეატრის ადგილობრივ, ერთგულ მაყურებლებს მოვუსმინოთ:

ია შამათავა - ზოგადად ძალიან მაინტერესებდა და ვნერვიულობდი სპექტაკლის დაწყების წინ, რადგან პირველად ჩემი პატარა მონაწილეობდა. ემოციას სიტყვებით ვერ გადმოვცემ. რა შემიძლია ვთქვა? არაჩვეულებრივი კოსტიუმები,

საოცრად გემოვნებიანი, პოფესიონალი მსახიობებით დაკომპლექტებული დასი. ამ მართლაც, სასწაულ სპექტაკლში იმდენად დიდი შრომა იყო ჩადებული, რომ კარგ შედეგს ველოდებოდი. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ალბათ არასოდეს დამავიწყდება ფარდის გახსნა, როდესაც ჯადოსნურ სამყაროში აღმოვჩნდი. მადლობა მთელ შემოქმედებით დასს, რეჟისორს და ყველა იმ ადამიანს ვინც პატარა წვლილი მაინც შეიტანაა ამ საოცარი სპექტაკლის შექმანში.

მარი ფირცხალავა – ძნელია სიტყვები იპოვო, როცა ასეთი ემოციებით ვარ დატვირთული. ეს იყო მართლაც პროფესიონალურად დადგმული სანახაობა. შთაბეჭდილებები ალბათ კარგა ხანს გამყვება. აღფრთოვანებული ვარ საოცრად გემოვნებიანი კოსტიუმებით. მსახიობების პროფესიონალიზმით და რაც მთავარია პატარა, ახლად დამწყები მსახიობების თამაშით დიდ სცენაზე. საოცარი ბავშვები ვნახე. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩემს პატარა ქალაქში ასეთი დონის სპექტაკლები იდგმება. მომავალში ველოდები და დიდი იმედი მაქვს თეატრალური დასი კიდევ მოგვცემს შესაძლებლობას ასეთი სიამოვნება მოგვანიჭოს მაყურებლებს.

ჯანინა ლიფონავა – პირველ რიგში ყველას ვულოცავ შობა-ახალ წელს. დიდი მადლობა ახალი წლის ჯადოსნურ დღეებში, ასეთი საშობაო საჩუქარი, ასეთი არაჩვეულებრივი სანახაობა, რომ გვაჩუქა თეატრალურმა დასმა. დარწმუნებული ვარ ამ ჯადოსნურ ზღაპარში კოლოსალური შრომაა ჩადებული. ვთვლი, რომ ეს შრომა დაფასდა. შეიძლება ითქვას სრული ანშლაგით შედგა პრემიერა. წარმატებები მინდა ვუსურვო რეჟისორს ბატონ ვახტანგ ნიკოლავას და მთელ შემოქმედებით ჯგუფს. მადლობა, რომ ასეთი დაუვიწყარი დღე გვაჩუქეთ ჩვენ და ჩვენს პატარებს.

გურანდა მირგატია – როდესაც ფარდა გაიხსნა, საოცარი გრძნობა დამეუფლა. ეს იყო სიამაყის, სიხარულის და თან შინაგანი ღელვის ნაზავი, რომელიც საერთო ჯამში, რაღაც შეუდარებელ სინთეზს ქმნიდა. ბედნიერი ვარ და თან ამაყი, რომ ჩემს პატარა სენაკს ასეთი დონის თეატრი აქვს. მადლობას ვუხდი თითოეულ ადამიანს ვინც ეს ლამაზი საღამო აჩუქა მაყურებელს.

პრემიერა

რედაქციის სახელით სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ-სახელმწიფო დრამატულ თეატრს და მთელ შემოქმედებით ჯგუფს ვულოცავთ შობა-ახალ წელს, წარმატებულ თეატრალური სეზონს. ვუსურვებთ ბევრი ასეთი საინტერესო და შთამბეჭდავი სპექტაკლების დადგმას.

მოამზადა
მარიკა მიქაბერიძემ

მდიდრული სპექტაკლი სენაკის თეატრში

აკაკი ხორავას სახელობის დრამატულმა თეატრმა სენაკელ (და არა მხოლოდ) პატარებს, მოზარდებსა და უფროსი თაობის მაყურებელს სასიამოვნო სიურპრიზი მოუმზადა. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვახტანგ ნიკოლავამ ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანის „მაკნატუნა“ დადგა (თარგმანი ნატო სლეპაკოვა). ფარდა რომ გაიხსნა, კარგა ხანს ვერ ვიჯერებდი, რომ წარმოდგენას რომელიმე ევროპული თეატრის საოპერო თეატრში არ ვუცქერდი. მაყურებელმა ნახა ე.წ. „დედაქალაქური“ სპექტაკლი, არც მეტი არც ნაკლები, სენაკის თეატრის სცენაზე.

სენაკის თეატრი, რომელსაც საქველმოქმედო ფონდი „ქართუს“ წყალობით, შესანიშნავი ინფრასტრუქტურა გააჩნია, ბოლო წლებში ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი თეატრი იყო, რაც ხელს უშლიდა შემოქმედებითი აქტივობების განხორციელებასაც. გასულ წელს, ახალი სამხატვრო ხელმძღვანელის დანიშვნის შემდეგ, თეატრის ბიუჯეტი გაიზარდა, რამაც სენაკის თეატრის გუნდს საშუალება მისცა შემოქმედებითი პროცესის დაწყების. დედაქალაქის და თუნდაც რეგიონების თეატრებისგან განსხვავებით, შედარებით მცირე ბიუჯეტით, სენაკის თეატრმა მიმდინარე სეზონზე (2022-2023) შეძლო არა მხოლოდ კრიტიკოსების, სათეატრო საზოგადოების გაოცება, არამედ სენაკელების თეატრისკენ შემობრუნება. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ვახტანგ ნიკოლავას სენაკის თეატრში დადგმული „მაკნატუნა“ საბავშვო-საშობაო წარმოდგენებს შორის მოწინავე ადგილს იკავებს. პირველი, რაც მაყურებელს თვალში ხვდება, ეს არის გამორჩეული, დახვეწილი სცენოგრაფია, ფერადოვანი და ავთენტური კოსტიუმები, მსახიობთა მიერ შექმნილი მხატვრული სახეები, ჩაიკოვსკის „მაკნატუნას“ ცნობილი თემები და კომპოზიტორ კოტე მალანიას დაწერილი სიმღერები (სიმღერების ტექსტის ავტორები: კოტე მალანია, ნატო სლეპაკოვა), რომელიც ორიგინალერად ჟღერს წარმოდგენაში.

„მაკნატუნას“ ინსცენირების ავტორი თავად რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავაა, რომელმაც ცნობილი ზღაპარი გაასცენურა ისე, რომ ზღაპრის სიუჟეტი დარჩა უცვლელი და მარტივი კონსტრუქციის, რომელსაც პერსონაჟები ხან ტექსტუალურად, ხანაც ქმედებით გვიამბობენ. რეჟისორმა თანაბრად იმუშავა პროფესიონალებთან და არაპროფესიონალ მსახიობებთან, სენაკის თეატრთან არსებული საბავშვო-საყმაწვილო სტუდიის აღსაზრდელებთან, რომლებიც ტოლს არ უდებენ პროფესიონალებს და ღირსეულ პარტნიორობას უწევენ მათ.

გამოჩენილმა ქართველმა მხატვარმა და სცენოგრაფმა ალექსანდრე სლოვინსკიმ ზღაპრის ეპოქის ავთენტური სცენოგრაფია შექმნა, რომელიც ორგანულად ერწყმის თავად სენაკის თეატრის დარბაზის არქიტექტურულ სტილს (მხატვარ-შემსრულებლები - ემილ გეგენავა, მალხაზ კორთხონჯია). სცენის ფონი უსასრულო სივრცეს ქმნის, რომელიც განათების საშუალებით (შუქის მხატვარი - ლაშა ჟვანია) მუდმივად იცვლება და სხვადასხვა ასოციაციებს აღძრავს. სცენის სიღრმეშივეა განთავსებული მონუმენტური თეთრი, ოქროთი გაწყობილი კარიბჭე, რომლის უკან საზეიმოდ გაწყობილი საახალწლო ნაძვის ხე მოსჩანს, სამეფო ჭაღები და მაკნატუნას თოჯინის ფიგურები ავსებს სცენურ სივრცეს. ფარდის გახსნისთანავე მაყურებლის თვალწინ იშლება მოულოდნელი, ეფექტური სამყარო - ჯადოსნური, მდიდრული, მხატვრული... სცენოგრაფია ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე და ქმნის პოზიტიურ განწყობას. პატარა მაყურებელი ინტერესით უცქერს სიუჟეტის განვითარებას, მსახიობები მიმართავენ ინტერაქტივის ხერხსაც, რაც უზრუნველყოფს დარბაზის აქტიურ კომუნიკაციას მათთან. სცენაზე განვითარებულ მოვლენები ინტერესს და აზარტს აღძრავს პატარებში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია სოფი ჩალაშვილის კოსტიუმები, რომელიც ორგანულად ერწყმის ერთი მხრივ ალექსანდრე სლოვინსკის სცენოგრაფიას, ხოლო მეორე მხრივ, ეპოქას და პერსონაჟთა ხასიათს (კოსტიუმების შემსრულებლები - რუსუდან კიკნაძე, მაგდა მამასახლისი, მაკა კილასონია).

სერიოზული სამუშაო ჩაუტარებია ქორეოგრაფ დავით მეტრეველს, მასაც რეჟისორის მსგავსად მუშაობა ერთდროულად მოუწია, როგორც პროფესიონალებთან, ასევე მოყვარულებთან, რომლებმაც ისე შეასრულეს საცეკვაო ნომრები, რომ ამერიკული მიუზიკლის მსახიობებს ჰგავდნენ.

ლაშა ჩხარტიშვილი,
თეატრმცოდნე, თეატრის კრიტიკოსი

მზიანი ღამე

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ღვაწლი შეუფასებელია მართლმადიდებლური სარწმუნოების განმტკიცებისა და გაძლიერების საქმეში. საქართველოსათვის საკმაოდ რთულ პერიოდებში დიდი ნუგეში ეკლესია და მისი უწმინდესობა იყო და არის დღესაც. აუწონავია მისი ღვწვა ეკლესიების მშენებლობაში, საგანმანათლებლო მიმართულებით და ქვეყნის სიმშვიდის შენარჩუნების საქმეში.

უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს დაბადებიდან 90 და აღსაყდრებიდან 45 წელი შეუსრულდა. ამ უმნიშვნელოვანეს თარიღებს და ქრისტეშობის დღესასწაულს მიუძღვნეს წმინდა ალექსი ბერის (შუშანია) სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მოსწავლე-ახალგაზრდებმა მხატვრული კომპოზიცია ,,მზიანი ღამე'', რომელიც 2023 წლის 9 იანვარს სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა. მოწვეულ სტუმრებს სამღვდელოებისა და საზოგადოების წარმომადგენლებს, მშობლებს მიესალმა სკოლა-გიმნაზიის დირექტორი ქალბატონი ნინო ჯანჯღავა.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთხელ გაშუქდა გიმნაზიელების მიერ ჩატარებული მხატვრული კომპოზიციები და სპექტაკლები (გამონაკლისი იყო პანდემიის წლები), რომლებიც ცოდნასთან ერთად ცხადჰყოფენ მოსწავლეებისა და მათი პედაგოგების მიზანმიმართულ მუშაობას, რათა მოსწავლეები ეზიარონ საინტერესო და სიახლეებით აღსავსე თეატრალურ ცხოვრებას.

კომპოზიციაში „მზიანი ღამე'' წარმოდგენილი იყო ნაწყვეტები წიგნებიდან: „ნათელი ქრისტესი'' -ამონარიდები უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ქადაგებიდან, „მოგონებები უწმინდესის ცხოვრებიდან'' - პატრიარქის ზღაპარი, ალექსი ბერის -''მოძღვრებანი'', მიტროპოლიტ შიოს (მუჯირი)- ''დიდი ქართველი მოძღვარი ათონზე და მისი სულიერი მემკვიდრეები სენაკში''. ასევე კომპოზიციაში გამოყენებული იყო მონაკვეთები ვაჟა ფშაველას მოთხრობიდან შობის ამბავი, ავსტრიელი მწერლის სელმა ლაგერლეფის წიგნიდან -''ლეგენდები ქრისტეზე''.

დიდი მოწონება ხვდა წილად გიმნაზიის მოსწავლეთა გუნდის შესრულებულ სიმღერებს, ინდივიდუალურ ქორეოგრაფიულ და მუსიკალურ ნომრებს. (ქორეოგრაფი-ანჟელა შონია, მუსიკალური გამფორმებლები- დიმიტრი კაკულია და შორენა გრიგოლია). კომპოზიციაზე მუშაობდნენ მზია ჩემია, სცენარის ავტორი გახლდათ დედა ნინო (მგალობლიშვილი).

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქუთაის-გაენათის ეპარქიის მიტროპოლიტი, საქართველოს საპატრიარქოს განათლების ცენტრის თავმჯდომარე იოანე გამრეკელი, ეპარქიის სასულიერო პირები, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი- ვახტანგ გადელია, მერის

მოადგილე ლევან ელიავა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრის პირველი მოადგილე-გურამ მისაბიშვილი, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელმძღვანელები და წევრები, მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის წარმომადგენლები, ადგილობრივი მედიის ჟურნალისტები, განათლების სფეროს მუშაკები.

მიტროპოლიტმა იოანე გამრეკელმა შობის დღესასწაული მიულოცა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა გიმნაზიის დირექციასა და მონაწილეებს მრავალმხრივი და შინაარსობრივად დატვირთული კომპოზიციის წარმოდგენისათვის.

გაზეთის რედკოლეგიის სახელით დაბადებიდან 90-ე და აღსაყდრებიდან 45-ე წლისთავს ვულოცავთ უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს იყოს თავისი სიმშვიდითა და სიწმინდით ყველა ქართველის უდიდეს იმედად და შემწედ.

წარმატებული სასწავლო წელი გვინდა ვუსურვოთ წმინდა ალექსი ბერის სახელობის გიმნაზიის დამფუძნებლებს, პედაგოგებს, თითოეულ მოსწავლესა და მშობელს. ფარავდეს შობის მადლი მათ სამომავლო გზებს. დასასრულს გვინდა მოვიყვანოთ ილია მეორის სიტყვები, „სიყვარულით გვიმზერს ბეთლემშობილი ყრმა იესო, თავისკენ გვიხმობს და მოგვიწოდებს: აირჩიე სიცოცხლე, აირჩიე ნეტარი მარადიულობა !

ჩვენც ანთებული სანთლით, კრძალვით მივეახლოთ მას და სიხარულოთ ღაღადვყოთ: დიდება ძალსა შენსა მხსნელო ყოველთაო! დიდება და მადლობა შენდა, საღმრთოითა მადლითა სოფლისა აღმვსებელო! დიდება შენდა, სასოებაო ჩვენო, დიდო მღვდელმთავრო, მეუფეო და ღმერთო ჩვენო“.

მედეა გაღათურია

მ ი ლ ო ც ვ ა

როცა ოჯახი იქმნება წყვილები საკურთხეველთან ფიცს დებენ, ფიცს ერთგულებისა და სიყვარულისა. მათ გაცნობიერებული აქვთ უფლება-მოვალეობანი როგორც ახლობლების, ასევე საზოგადოების წინაშე.

შორენა კორშიას და თენგო ბახტაძეს ვულოცავთ ოჯახის შექმნას, ვუსურვებთ ბედნიერებას, სიხარულს, გამრავლებას, ერთმანეთის თანადგომით ცხოვრებას.

იხარეთ და იბედნიერეთ.

სიყვარულით
ზაზა გვასალიას ოჯახი

სპორტი
გვასახელეს



13 იანვარს, ქალაქ თბილისში დასრულდა, საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 23 წლამდელთა შორის, სადაც ჩვენმა ახალგაზრდა უნიჭიერესმა სპორტსმენებმა კიდევ ერთხელ გვასახელეს და გამარჯვება მოიპოვეს.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიო ვიცე ჩემპიონმა, ევროპის და მესამე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, საქართველოს ხუთგზის ჩემპიონმა, გიორგი ჩხიკვაძემ, 72 კგ. წონით კატეგორიაში, საქართველოს ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი მოიპოვა.

ხოლო, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მესამე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელმა ლუკა ოჩიგავამ საქართველოს ჩემპიონატში, 67კგ. წონით კატეგორიაში- მეორე ადგილის და ვერცხლის მედალი.

წარმატებით იასპარეზა 130კგ. წონით კატეგორიაში ომიკო შენგელიამ, რომელმაც მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

,,კოლხეთის" რედაქცია ულოცავს ჩვენს სახელოვან სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს ამირან დავითაიას, ვალერი მუღულიას, ზურაბ დავითაიას გამარჯვებას და უსურვებს შემდგომ წარმატებებს.

მაია გერგაია

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა



22-26 დეკემბერს, ქალაქ ბათუმში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

სენაკელმა ფალავანმა, საჩინო დავითაიამ, 77 კგ წონით კატეგორიაში, მეორე ადგილი დაიკავა.

სენაკელ ფალავანს, არაერთი სპორტული მიღწევა და ტიტული აქვს მოპოვებული:

არის, საქართველოს თერთმეტგზის ჩემპიონი, ოთხგზის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, ორგზის ევროპის ვიცე ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, მსოფლიო თასის ვიცე ჩემპიონი, მრავალგზის ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე, ახალგაზრდებს შორის ოლიმპიური ჩემპიონატის მონაწილე, საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი დიდებს შორის და ორგზის ვიცე ჩემპიონი. მწვრთნელი: ამირან დავითაია.

წარმატებებს ვუსურვებთ სენაკელ ფალავანს.

ირინე გაგუა,
სენაკის სასპორტო გაერთიანების, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი

პროექტი: ,,წმ. ბერი ალექსი-170-ე წელი დაბადებიდან"
,,ღმერთო! შემიწირავს შენთვის ჩემი სიყმაწვილე"- წმ.ალექსი ბერი III.
(წმ ალექსი ბერის მოძღვრებანი)

1852 წელს, როცა დიდი ილია ჭავჭავაძე 15 წელისაა, აკაკი 12-ისა, ხოლო ვაჟა-ფშაველა მხოლოდღა 9 წლის შემდეგ მოევლინებოდა თავის სამშობლოს, სენაკის მაზრაში ნოქალაქში, დაბადებულა ალექსი შუშანია, რომელსაც უმოღვაწნია ასეთ ღირსეულ და საეტალონო მამულიშვილთა მხარდამხარ-უტვირთია ჯვარი სათავისო და ამაღლებულა ღმერთკაცობამდე სიწმინდითა თვისითა, რისთვისაც მიუძღვნია სიყმაწვილეცა და დანარჩენი სიცოცხლე-ცხოვრების წლებიც, ვიდრე-70 წლამდე.

2022 წელს დასრულდა ამ წმინდა მოღვაწის დაბადებიდან 170 წლისთავი. ამ მომენტისათვის ჟიული შარტვას სახელობის ქალაქ სენაკის №2 საჯარო სკოლის მოსწალეთა კლუბ ,,რვალთან" ერთად დავამუშავეთ წმიდა ბერი ალექსის თეოლოგიურ-ფილოსოფიური, ფსიქოპედაგოგიური შემოქმედების ნაწილები, რათა ევროპის გერმანიის, ინგლისის, საბერძნეთის, ირლანდიის იტალიის, აშშ-ს, საქართველოს სკოლების - სენაკის №2 საჯაროს, ქუთაისის №17-ს, ქართული იდეის სკოლის, რუსთავის ,,მილენიუმის" მოსწავლეთა, მშობელთა, მასწავლებელთა აუდიტორიისათვის გაგვეცნო წმიდა ბერი ალექსის შემოქმედების სიბრძნითი წვდომის ეტალონები, რაც არა მხოლოდ ეროვნული, არამედ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის საგანძურის უძვირფასესი ნაწილებია.

პროექტს რომელიც მიზნად ისახავდა თაობათათვის მივიწყებულ მამულიშვილთა ღვაწლის დაფასება- გახსენებას ჭეშმარიტ მოღვაწე პატრიოტთა ფასადაუდებელი ამაგისა, ერქვა ,,მამულიშვილი" . მას თაოსნობს რუსთაველის სახელობის საქათველოს ფონდი, რომელიც ასეთ ამაღლებულ მისიას ეწევა ინგლისის საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის მეშვეობით მრავალგზისი ონლაინ-შემოქმდებით.

ამ ევრო-ამერიკულ ქართულ აუდიტორიას ძლიერ მოეწონა ევრო-ამერიკა- საქართველოს მასწავლებელთა, ქართული დიასპორისა და საქართველოს მოსწავლეთა კვლევების სოღრმე, პრეზენტაციის სულიერება და ინტელექტური სიმაღლე. კონფერენციას წარმართვდნენ ლონდონის საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის დამფუძნებელი, ქ-ნი ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანი, კონფერენციის საორგანიზაციო საბჭოს თავმჯდომარე ისტორიკოს-არქეოლოგი ეკა კარტოზია, პროფესორი ვაჟა კიკნაძე და მრავალი ღირსეული თანამედროვე მამულიშვილი, თავდადებული სამშობლო საქართველოსათვის.

2022 წლის 26 დეკემბერს ქალაქ სენაკის საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში აღვნიშნეთ ღირსი მამა ალექსის დაბადებიდან 170-ე დღეობა.

საიუბილეო პროექტს ,, წმიდა ბერი ალექსი - 170-ე წელი დაბადებიდან" - ასულიერებდნენ ჟიული შარტავას სახ. სენაკის №2 საჯარო სკოლის X, XI, და V კლასის მოსწავლეები:

ლიზი ეჯიბია, მარი შამათავა, ნიკოლოზ კუპრეიშვილი, აკაკი ბარკალაია, მარი ფისენ-

კო, მეა მაშინაია. მათ გააცნეს აუდიტორიას წმ. ალექსი ბერის თეოლოგიურ-ზნეობითი, ფილოსოფიურ-ინტელექტური, ფსიქოლოგიურპედაგოგიური ნაშრომების უაღრესად ადამიანური მისიის აუცილებელი კომპონენტები და საკუთარი პიროვნული სახის ჩამოსაყალიბებელ- აღსაზრდელი მსჯელობა-მტკიცებანი, რაც თავის ქვეყანასა და კაცობრიობას უბოძა წმიდა ბერმა ალექსიმ.

საიუბილეო პროექტს – ,,წმ ბერი ალექსი - 170-ე წელი დაბადებიდან" ესწრებოდნენ ბ-ნი კობა კარტოზია, ბიბლიოთეკის პერსონალი, მასწავლებლები და მოსწავლეთა მშობლები.

რით გამოირჩეოდა ეს დიდებული საღამო? - იყო ამაღლებული თხრობა წმინდანის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, აუდიტორია დიდი მოწადინებით ითვისებდა ყოველ აზრს, მოისმენდა სიბრძნის ყოველ ანასხლეტს, დამოძღვრის უბრწყინვალეს პარამეტრებს და შეიმეცნ- შეიგრძნობდა დიდი წმინდანის, ბერი ალექსის, არსებობა-შემოქმედება-მოღვაწეობის დიდებულებას, რასაც ჰკვებავდა ბერისეული სიყვარული უფლისეული და ცოცხლდებოდა წმინდანი წინაშე აუდიტორიისა.

ამადაც მოწიწებით შესცქეროდნენ სანთელს, ანთებულს ნიშნად ღმრთისგანბოძებული ფასდაუდებელი საუნჯისა,- წმიდა ბერი ალექსის, დაბადებისა 170 წლის წინათ.

ამიტომაც, თითქოს, არავინ სუნთქავდა თვინიერ იუბილარის ცხოვრება- მოღვაწეობისა და მისეული სიბრძნის სიგრძეგანედებისა.

და იყო სიმშვიდე, როგორც მოწიწება წმინდანის ღვაწლისადმი.

და იყო სულიერი ამაღლება, წარმოჩენილი პროექტის იდეით.

და იყო მყუდროება აუდიტორიისა, როგორც პატივმიგება ესოდენ ამაღლებული ადამიანწმინდანის სულიერებისადმი.

პროექტის ხელმძღვანელმა გახსნა იუბილე, გადმოსცა ღირსი ბერი ალექსის ცხოვრებისეული სულიერების უმნიშვნელოვანესი დეტალები, მერე კი იყო მოსწავლეთა პრეზენტაცია წმიდა ბერისეული სიბრძნე-ზეაწეულობისა. მოისმინეს ზოგიერთი გამოსვლა ონლაინკონფერენციისა. ყველა საკითხი ფრიადაქტუალური და დამაფიქრებელი აღმოჩნდა.

საიუბელე პროექტის დიდებულებაზე აზრი გამოთქვეს მასწავლებლებმა: გულსუნდა ხუბულავამ, მაია დგებუაძემ, ნანა თავართქილაძემ .

ბატონმა კობა კარტოზიამ ფრიადმოიწონა პროექტის სულიერება, დარბაზის ერთსულოვნება და ის, რომ დარბაზი შედგებოდა სხვადასხვა თაობის ადამიანთაგან და წარმმართველი ძალა პროექტის გარდა უფლისეულ -ბერისეული სიწმნიდე, აუდიტორიის მოწიწება -მოკრძალებითი დამოკიდებულება პროექტის ყველა ნაწილის მიმართ და აზრი გამოთქვა ფართო მასშტაბის კლუბის შექმნისა ქალაქის ფარგლებში და მის საზღვრებს გარეთაც. მან დახმარება აღუთქვა სამომავლო კლუბს.

ასე შეიმოსა დარბაზი- აუდიტორია უფლისეულ-წმინდანისეული ნათლითა . 2022 წლის 26 დეკემბერს პროექტით: ,,წმიდა ბერი ალექსი -170-ე წელი დაბადებიდან".

პროექტის ხელმძღვანელი
ლუარა ჯიქია

ელისო ცაგურია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო მწუხარებას გამოთქვამს, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, სამი მოწვევის საკრებულოს წევრის, ელისო ცაგურიას გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და მეგობრებს.

ელისო ცაგურია - გამორჩეული პიროვნება, საკუთარ საქმეზე და მუნიციპალიტეტზე უზომოდ შეყვარებული, კეთილშობილი, ერთგული, უღალატო მეგობარი და კოლეგა იყო. ქალბატონი ელისო, არასდროს ღალატობდა ადამიანურ პრინციპებს, აქტიურად მონაწილეობდა ქალაქისათვის მნიშნელოვანი საკითხების განხილვაში, მუდამ მზად იყო ყველას დახმარებოდა, მისი ცხოვრების კრედო, სიკეთის უანგაროდ კეთება იყო.

დასანანია, რომ 54 წლის ასაკში დასრულდა, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აქტიური და ღირსეული წევრის სიცოცხლე.

სენაკის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

გამორჩეულად გულისხმიერი

დიდი გულისტკივილით გამოვთქვამ მწუხარებას, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, სამი მოწვევის საკრებულოს წევრის, საუკეთესო პროფესიონალის, გულისხმიერი კოლეგის და მეგობრის, საკუთარი ქვეყნის დიდი გულშემატკივრის, სენაკის საამაყო შვილის, ელისო ცაგურიას გარდაცვალების გამო.

ელისო ცაგურიამ, თავისი ცხოვრებით, ღვაწლით, კეთილი საქმეებით, წარუშლელი კვალი დატოვა სენაკსა და სენაკელებში. იგი იყო თავდაუზოგავი საქმეში, გამორჩეულად გულისხმიერი, ყურადღებიანი, საუკეთესო ადამიანური ღირსებებით შემკული პიროვნება.

მტკივნეულია მისი წასვლა და დაუვიწყარი მისი სახელი თითოეული სენაკელისთვის.

ვუსამძიმრებ ამ დიდ დანაკლისს ოჯახს, მეგობრებს და კოლეგებს.

ვახტანგ გადელია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

შალვა შენგელია

49 წელი გავიდა მამაჩემის, შალვა ვასას ძე შენგელიას გარდაცვალებიდან, 15 დეკემბერი მისი დაბადების დღეა.

შალვა შენგელია საქართველოს და ყოფილი საბჭოთა კავშირის დამსახურებული იურისტი იყო. დამნაშავეებთან ბრძოლაში სახელმწიფომ მისი ღვაწლი დააფასა. ის დაჯილდოვდა როგორც საქართველოს, ასევე ყოფილი სსრკ-ს გენერალური პროკურორის მადლობებით, სამახსოვრო საჩუქრებით.

ყოლფილი სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1966 წლის 6 მაისს იგი დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის“ ორდენით, რასაც ხელს აწერდნენ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი და მდივანი მ. გიორგაძე.

შალვა შენგელიას პირად არქივში არაერთი საინტერესო მასალა ინახება, მათ შორის ყოფილი სსრკ პროკურატურის მეთოდური საბჭოს სწავლული მდივნის იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველ გ.ალექსეევის წერილი. ის თხოვს შალვა შენგელიას მონაწილეობა მიიღოს ნარკვევების კრებულის გამოცემაში, 20-30 გვერდიანი ნარკვევი, სადაც ასახული იქნებოდა კვალიფიციური იურისტის მიერ განხორციელებული ეფექტური ღონისძიებანი დანაშაულის გახსნის საქმეში.

შალვა შენგელია იყო შესანიშნავი მზრუნველი მამა. გაზარდა ღირსეული შვილები. იყო სახელოვანი მამულიშვილი და ნამდვილი პროფესიონალი.

მე წამითაც არ მავიწყდება მისი ხატება.

ნათელში იყოს მისი სახელოვანი სული და ნეტარ იყოს მის სახელზე დანთებული ყველა სანთელი.

ნანა შენგელია

ოჯახით

ფოტომატიანე

მრავალი სახასიათო როლის შემსრულებელი, ღვაწლმოსილი მსახიობი ჯემალ პერტენავა აკაკი ვასაძესთან, მედეა ჩახავასთან, ოთარ კობერიძესა და თინა ბოლქვაძესთან სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის წინ.

ფოტო მოგვაწოდა შორენა პერტენავამ.

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, ქალბატონ

ელისო ცაგურიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებული ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს.

კროსვორდი

ცარიელი უჯრები შეავსეთ საქართველოს მდინარეების სახელებით ისე, რომ გამუქებულ უჯრებში მიიღოთ საქართველო.



შეადგინა

მაია გერგაიამ

ძვირფასო ხელმომწერებო!

კოლხეთი

გამოიწერეთ „მრავალ დროების მოწამე"

და რაიონის მემატიანე გაზეთი „კოლხეთი"

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499